



## საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 20-ჯ

„4“ მაისი 2013 წ.

██████████ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მინისტრის აპარატში უფროსი მრჩეველის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში მინისტრის მრჩეველის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (№449-რს, 25/03/2013წ.) პირველი მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მეორე მუხლის მეორე პუნქტის, „საჯარო მოსამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 23-ე მუხლის მეორე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №97 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დებულების“ მე-4 მუხლის მეორე პუნქტის „ე“ და „პ“ ქვეპუნქტების, „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №367 განკარგულების, „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2013 წლის 30 აპრილის №80 ბრძანების, „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს კატეგორიების განაწილების თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 4 მაისის №8-კ ბრძანებისა და ██████████ თანხმობის საფუძველზე,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გათავისუფლდეს ██████████ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მინისტრის აპარატში უფროსი მრჩეველის თანამდებობიდან და დაინიშნოს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში მინისტრის მრჩეველის თანამდებობაზე 2013 წლის 4 მაისიდან, მინისტრის უფლებამოსილების ვადით.
2. თანამდებობრივი სარგო განესაზღვროს მინისტრის მრჩეველის მეორე კატეგორიის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

კახა კალაძე